საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამიერკავკასიის ფილიალი სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა

ამიერკავკასიის ფილიალი სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსდა თბილისში 1932 სსრკ მეცნ. აკად. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე.

ფილიალის თავ-რედ დაინიშნა აკად. ნ. მარი. თავდაპირველად ფილიალში 2 განყ-ბა იყო: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საზ. მეცნეიერებათა.

1932 ბაქოში გაიხსნა ფილიალის აზერბ. განყ-ბა, ხოლო 1933 თბილისში – საქართველოს განყ-ბა, რ-შიც 1933–35 ორგანიზაციულად გაერთიანებული იყო რამდენიმე სამეცნ.-კვლ. დაწესებულება. 1935 ამიერკავკ. რესპუბლიკებში შესაძლებელი გახდა სსრკ მეცნ. აკად. დამოუკიდებელი ფილიალების გახსნა (იხ. საქართველოს ფილიალი სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა), რ-თა ბაზაზე შემდგომ დაარსდა მეცნიერებათა აკადემია საქართველოში (1941), სომხ. მეცნ. აკადემია (1943) და აზერბ. მეცნ. აკადემია (1945).

ვ. ჯავრიშვილი